

მწიგნობრობის



მე ვარ მწიგნობრობის კეთილი: მწიგნობრობის კეთილმან სული თვისი დაქსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).
 ვაძვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სინარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).
 მოველით ჩემდა ყოველნი მასურალნი და ტვირთ-მომენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 24

183—1893

30 დეკემბერს.

1894 წლის

„მწიგნობრობის“

ხელის მომწერლებს საჩუქრათ დაურჩივლებთ
 მოზარდილი მხატვრობა

თაქარ მეზისა.

მხატვრობა წარმოადგენს იმ დროს, როდესაც შობა რუსთველი მიართქვის თამაძს თავის უკვდავ პოემას «ვეფხისტყაოსანს». ამ მხატვრობაზე იქნება დახატული თვით შობა რუსთველი და თამაძის მხლებლებიც იმ დროის ტანთ-საცმელში.

ჩვენ მოქმედა და საზოგადოების საუკაღ-
 ლობო.

მოგილოცავთ, ჩვენს მოქმენო, ამ ჩვენს წლის მშვიდობით გატარებას. მადლობა დმერთს, უველანი კეთილად გადავრჩით ამ წელში და ორი სამი დღის შემდეგ ახალს ჩუქდ წელში გადავვ-
 გებით. აბა, ერთი თვალი გადავავლოთ წარ-
 სულს წელს და შევიტყოთ, თუ რა გავაკეთეთ ამ წელში, რა შევმატეთ ჩვენს გონებას, ჩვენს ზნეობას და ჩვენს ცხოვრებას? რა წარმატება შევიტანეთ ჩვენს სამწესობებში? რამდენათ გავ-
 უმჯობესეთ და განვამტკიცეთ ჩვენს სულიერ მკვლთა შორის სარწმუნოება, სასოება და დვთის

სიყვარული? რამდენათ ადვამადღვეთ ისინი ზნეობითად? თუ უველა ამებეს რიგიანათ გამოვიკვლევთ, დავრწმუნდებით, რომ ამ წარსულ წელში ჩვენის მხრით ბევრი არაფერი სანუგეშო გაკეთებულა. უმეტესი ნაწილი ჩვენ სამწყსოთა ისევ იმ უვიცობის მორევში სდგას. მართალია, უოველივე საჭირო მდვდელო-მოქმედებას უკლებლადად ღმ დაუზარებელად ვასრულებთ, მაგრამ ჩვენი სულიერნი შვილნი ისევე უვიცნი არიან ღმ ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ მართლ-მადიდებელი სარწმუნოების დოღმატები, რომელთა ცოდნა აუცილებლათ საჭიროა უოველ ქრისტიანეთათვის. მართალია, ჩვენი სამწყსონი მტკიცეთ ასრულებენ ჩვენი ეკლესიის ზოგიერთ წესთა, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ იგინი ამნაირივე სიმტკიცით, თუ არა უმეტესად, ასრულებენ მრავალგვარ ამაო-მორწმუნეობათა ღმ ჩვეულებათა, რომელნიც არც სულისა და არც ხორცისათვის სასარგებლონი არ არიან. ჩვენის მხრით მარტო წირვა-ლოცვის ღმ სხვა წესების შესრულება არ კმარა. მდვდელის მოვალეობა მასში მდგომარეობს, რომ იგი ჰქადაგებდეს სახარებასა, ასრულებდეს საიდუმლოთა ღმ ასწავებდეს სამწყსოთა დროით ღმ უდროვოთ. სწავლისა ღმ ქადაგების შესახებ შესამჩნევი არა გავიკეთებია რა წარსულს წელში. თუ ჩვენ იმდენათ არა ვართ მომზადებულნი, რომ ჯეროვანად უქადაგოთ ღმ ვასწავლოთ ხალხს, უნდა ვცდილიყავით, რომ სხვისგან შედგენილი და დამზადებული სიტყვა-მოძღვრებით ღმ სასულიერო ზნეობრივი შინაარსის წიგნაკების ხალხში გავრცელებით მაინც ცოტაოდენი შუქი მოგვეფინა ჩვენ სამწყსოთა გონებისათვის. სწორეთ საჭიროა უველა ჩვენგანი ჯეროვანათ დაუფიქრდეს თავის დიდ მოვალეობის აღსრულებას, თუ არ უნდა, რომ პასუხი აგოს იმას, რომლის მადლით იგი დადგენილ არს მწყემსად სამწყსოთათვის.

გავიდვიძოთ, ძმებო, დავუკვირდეთ ჩვენი ცხოვრების მსვლელობას, ფიცხელი უკრაადღება მივაქციოთ დროის მოთხოვნილებას, შევეწიოთ ერთი-ერთმანეთს ერთსულობით ღმ ერთგულობით ჩვენი დიდი მოვალეობის აღსრულების სქემში.

ჩვენ ხშირად საუკვედურსა ვსდებთ სხვას, რომ ვითომ ქართული ენის უცოდინარობისა გამო ვერ მოგვიხერხებია საქმის გაკეთება; მაგრამ ამით თავის გამართლება არ შეგვიძლია. ხშირათ ვნატრობთ, რომ საქართველოს წმიდანების ხატები გავავრცელოთ ხალხში, მაგრამ განა გვიძლის ვინმე ამ საქმის სისრულეში მოუყვანას? მე კარგათ მახსოვს, რომ ერთ დროს ცირკულიარული მიწერილობით გამოეცხადა სამდვდელოებას, რომ უველა ეკლესიებში მოეპოვებიათ წმ. მოციქულთ-სწორის, საქართველოს განმანათლებელის ნინას ხატი. ამ განაგარგულების შემდეგ დიდმა დრომ განვლო, მაგრამ არ ვგონებთ, რომ ას კრებულში ორს ექნეს მოპოებული ეს ხატი თავისი ეკლესიისათვის. ზოგნი იმითი იმართლებენ თავს, რომ ადგილობით წმიდანთა ხატები არ იმოვებოა ღმ ეს მართალიც არის. დღემდის ჩვენში ვერ შემდგარა სასულიერო წოდების პირთაგან საზოგადოება, რომელსაც ეკისრა ამ საკეთილო საქმის სისრულეში მოუყვანა. თუმცა ამ საქმის ხელის მოკიდება ერთი პირისათვის დიდათ საძნელოა, მაგრამ ჩვენ მაინც შეუდევით ამ საძნელო საქმის სისრულეში მოუყვანას. საქმე დავიჭირეთ რუსეთის გამოჩენილ ხრომო-ფილოგრაფებთან, რომელთაც შეეკვეთეთ როგორც საზოგადო ისე საქართველოს წმიდანების ხატები სხვა და სხვა ზომისა ხალხში გასავრცელებლად; თითოეული ხატი ეღირება 20.—50 კაპეიკამდე. ცოტას ხანში მივიღებთ ამ ხატებს. ჩვენ ამ საქმეს შევებით ჩვენი სამდვდელოების და საზოგადოების დახმარების ღმ თანაგრძობის იმედით და სრული დარწმუნებული ვართ, რომ ეს იმედი არ გაგვიცრუვდება.

დებ. დ. ლამაშიძე.



ქართლ-კახეთის ეპარქიის მთელი სამღვდლო- ების დეპუტატების კრებისა გამო ქ. თბილისში ოქტომბრის 8—14-დღე.

(გაგრძელება *)

დიდი ბაასი და მსჯელობა გამოიწვია დეპუტატთა შორის ეპარქიალური წმინდა სანთლის ქარხნის მდგომარეობის საქმემ. 1887 წელში მაშინდელი ექსარხოსის მინდობილებით რევიზია უყო სანთლის ქარხნის წარმოების საქმეს დეკანოზმა კალისტოვმა, როგორც გეახსოვს, მ. შოშიევის თანადასწრებით. ამ დროს სანთლის ქარხნის საქმეს განაგებდა დეკ. გრიგორი პეტრიევი. რევიზორმა განაცხადა, რომ დიდი უწყობა ენახე სანთლის წარმოების საქმეში და ამიტომ მ. პეტრიევი ძალაუბნებურად დაითხოვეს და მის ადგილზე სანთლის ქარხნის გამგებად დანიშნენ მმ. შოშიევი და თოთიბაძე. ეს პირნი განაგებდნენ დღემდის სანთლის ქარხნის საქმეებს. წელს მათი მეთუფების, ექსარხოსის ვლადიმირის წინადადებით სანთლის ქარხნის საქმეების განსახილველად კრებამ დანიშნა დეკ. იუნიკი, რომელმაც რევიზიის მოხდენის შემდეგ განუცხადა კრებას, რომ წმინდა სანთლის ქარხნის და სანთლის წარმოების საქმე ძლიერ სამწუხარო მდგომარეობაშიაო. დეკ. იუნიკი უმტკიცებდა კრებას, რომ წმინდა სანთლის ქარხნის ელის გაკოტრებაო, მაგრამ სანთლის ქარხნის გამგენი მმ. შოშიევი და თოთიბაძე უმტკიცებდნენ კრებას, რომ სანთლის წარმოების საქმე კარგ მდგომარეობაშიაო. კრებამ სანთლის ქარხნის მართვა-გამგეობის წინადადელი მოსამსახურენი ყველანი დაითხოვა და მათ მაგიერ დანიშნა 1887 წელში ასე უმართლოდ დათხოენილი მ. დეკ. გრიგ. პეტრიევი, როგორც საიმედო პირი ამ საქმეში და ჯამაგირად წელიწადში დაუნიშნა 600 მ., მის თანაშემწედ კრებამ დანიშნა მღვ. ტყეშელაძე 200 მ. ჯამაგირით და ქარხნის ზედამხედველად მღვ. რცხილაძე, რომელსაც დაუნიშნა წლიურად 800 მ. სამღვდლოებამ ამავე კრებაზე დანიშნა სარევიზიო კომიტეტი, რომლის წევრებად დანიშნულ იქნენ ბ. პაშკოვი და სემინარიის მასწავლებელი ბ. ალბოვი და ჟორდა-

ნია. ამ კრებაზე აღმოჩნდა, რომ დეკ. ნ. კალისტოვს სანთლის ფულები 500 მ. ჰქონებია წალბებული, მაგრამ დღემდის გროვი არ შემოუტანია. სხვა ეკკლესიებზედაც კარგა ბლომად ყოფილა წალბებული სანთელი, მაგრამ როდეს ვარდაიბდიან ამ ეალს, ჯერჯერ არ იციან.

დიდის ერთგულებით იბეჭდება სტაროსტინის განწესება და მედაეითნეების ერთი ადგილიდამ მკორე ადგილზე გადაყენ-გადმოყენა, როდესაც ამის დაუბეჭდაეობა არაეითარ ენებას არ მოუტანს არც საზოგადოებას და არც ეკკლესიას და მათი გამოცხადება. თითქმის, არაეისთეის საქირო და საინტერესო არ არის. წმინდა სანთლის წარმოების საქმის ეითარეის ანგარიშები კი არასოდეს არ იბეჭდება. 30 და 40 ათასი მანეთის წარმოების საქმე კი დაფარულია საზოგადოებისათეის და სიბნელით არის მოცული. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სანთლის წარმოების საქმეში ის დაბრკოლება არ მოხდებოდა, რომელიც ჩვენ აგვისხნა და განგვიმარტა მ. იუნიკიმ. ზოგერთები სრულებით კმაყოფილნი არიან, თუ სანთლის წარმოების საქმიდამ წინა წელზედ რამდენიმე ასი მ. მომატებული მოგება ნახეს, ეს არ კარა საქმის რეიანად წაყენისათეის. შენის გამგეობის დროს, ესთქვით, მართლა მოიმატა სანთლის შემოსაეალმა 300—500 მანეთით, მაგრამ რატომ არ უნდა ეიფიკროთ, რომ მეორე კეთილი და გამჭირახე გამგებელი 300—500 მ. კიარა 2000 მ. მოუმატებდა შემოსაეალს? ბაქოს ეკკლესიაში ერთ დრომდის სანთლის მოგებას აჩენებდნენ ზოლმე 2000 მანეთამდე, რომლისათეის ჯილდოეებდოდნენ ზოგიერთები. გამოიცვალენ ძველი მოსამსახურენი, დადგენ ახალი პირნი და ერთბაშად ექესი ათას მანეთამდე აეილა წმინდა სანთლის შემოსაეალი. რას უნდა მივაწეროთ ეს? ეს შემოსაეალი არც გასაკეირეელია. ჩახედეთ ბაქოს ეკკლესიის მეტრიკაში და შეიტყეთ, რამდენია მონათლული, გვირგეინ-ნაკუროთნი და იქიდამ შეიტყობთ, თუ რამდენი სანთელი უნდა გაიყიდოს ამ ეკკლესიაში... დააკეირდით ბაქოს მცხოვრებლებს და ტაძარში მოსიარულე რუსეთის ხალხს განსაკუთრებით. ამ უშველებელ გუბერნიის ქალაქში ერთად ერთი ბაქოს ტაძარია შესანიშნავი. ჩვენის აზრით, ბაქოს ეკკლესიაში მეტი შემოსაეალიც უნდა იყოს სანთლისა.

სწორეთ ერთად ერთი ხერხონისა და ოდესის

*) იხ. «მწეკსია»-ს № 23, 1893 წ.

ეპარქიაა, სადაც ეპარქიის სამღვდელმოვლას შეძლება აქვს ყოველს წელიწადს წაიკითხოს წმინდა სანთლის წარმოების ანგარიში თავის სავალდებულო ქურნალში.

დეკ. დ. ღამბაშიძე. მე ვსთხოვ მ. თავმჯდომარეს, რომ მან შეატყობინოს კრებას, თუ რა წესით სწარმოებს სანთლის ქარხნის და სანთლის სყიდვა-გასყიდვის საქმე, და როგორი ინსტრუქცია აქვსთ მიცემული ქარხნის გამგეს, ზედამხედველ და სარევიზიო კომიტეტებს. ერთი სიტყვით შეატყობინოს კრებას სანთლის ქარხნისა და საწყობების მდგომარეობა. გამგებელნი თავის ნებაზედ აწარმოებდნენ საქმეს, თუ მათ აქვსთ ინსტრუქცია და ამ ინსტრუქციისამებრ იქცევიან იგინი?

თავმჯდომარე. საქმიდან არა სჩანს, რომ მათ რაიმე ინსტრუქცია ანუ წესდება ჰქონდესთ მიცემული და ამ ინსტრუქციის ძალით მოქმედობდნენ. ცვილს ყიდულობდნენ, ამზადებდნენ სანთელს და აგზავნიან სანთლის საწყობებში და იქ ჰყიდიან. საქმეში მათთვის სახელმძღვანელოდ მიცემული არა სჩანს რა და თუ რამე იყო, აქვე არიან სანთლის ქარხნის და საწყობების გამგებელნი და მათ უფრო ეცოდინებათ ეს დამატომ მათ ვსთხოვ, შეატყობინონ კრებას ყოველივე.

ბლად. ა. შაშიგვი. არაერთარი დამტკიცებული ინსტრუქცია ანუ წესდება არ ჰქონიათ მიცემული სანთლის წარმოების გამგე პირთა. ცვილს ცვილულობდით, სანთელს ვამზადებდით, ვასალებდით და ანგარიშს, თუ მოგვთხოვდნენ, წარუდგენდით ხოლმე. სარევიზიო კომიტეტი იყო და თუ რამე უწესოება ყოფილიყო, ალბათ იგინი შეიტყობდნენ.

დეკ. დ. ღამბაშიძე. როგორც სჩანს, სანთლის წარმოების საქმე რიგან ნიადაგზე არ ყოფილა დამდგარი. ძლიერ გასაკვირველია, რომ დღემდის არავის არ უზრუნავს, სანთლის წარმოების საქმის გამგეთათვის არაერთარი წესდება, არაერთარი ინსტრუქცია მათ სახელმძღვანელოდ არ ყოფილა. თუ აქ ვერ მოახერხეს ამისთანა წესდების და ინსტრუქციის შედგენა, რატომ არ მიიქცენ რუსეთის ზოგიერთ ეპარქიის სანთლის ქარხნის საქმის მწარმოებელ პირთაღმის და არ სთხოვეს, მათ მაინც შეეტყობინებიათ ის, რაც მათგან დიდი ხანია კარგად შემუშავებულია. წარმოიდგინეთ, რომ ამდენი ხანი სუფევს ჩვენში სანთლის ქარხნები, მაგრამ ერთჯერ არ უნახავს

საზოგადოებას ვრცელი ანგარიში ამ ქარხნებში საქმის წარმოებისა. ერთჯერ არ წაუკითხავსთ ანგარიში მათ სავალდებულო ქურნალებში. რუსეთის სასულიერო სავალდებულო ქურნალებში კი კრებულით თითოეული წვერი კითხულობს წლიურ დაწვლილებით ანგარიშს როგორც სანთლის წარმოების საქმის შესახებ, ისე იის შესახებ, სადა რა თანამდებობის ადგილია დაკლილი მის ეპარქიაში. რატომ არ წავბაძავთ ჩვენც ამ კაცებს და რატომ არ ვსარგებლობთ სხვა ეპარქიის ამისთანა მშვენიერად შემუშავებული წესებით? მენით თუ ვერ მოგიგონებია რა, სხვისი გამოგონებით მაინც უნდა ისარგებლო, თუ ამას არ გიშლიან და არ გამაძლიან.

დეკ. ა. იუნიაკვი. მამა დეკ. ღამბაშიძეს სრულებით არ ვეთანხმებით იმის შესახებ, რომ ჩვენ, ვითომც, არ ვსარგებლობთ სანთლის წარმოების საქმეში რუსეთის ეპარქიების (და თუ გინდ ოდესის) საეკკლესიო სანთლის ქარხნების წეს-წყობილებით. ყოველივე ის, რაც სთქვა მ. ღამბაშიძემ, სათქმელად ადგილია, მაგრამ იმას ავიწყდება, რომ ჩვენ აქ თფილისში ვართ და არა რუსეთში. რუსეთის საეკკლესიო სანთლის ქარხნების წარმოება სულ სხვა პირობაშია და საქართველოში კი სულ სხვაა. იქაური წეს-წყობილება აქ სრულებით არ გამოადგება. აქ ჩვენი სანთლის საქმის წარმოება განსაკუთრებულია რუსეთისაზედ და ამიტომ სულ სხვანაირი მოფიქრება გვაბათებს. რუსეთის საეკკლესიო ქარხნების წეს-წყობილება რა გამოსადგება აქ?.

დეკ. დ. ღამბაშიძე. კომპარატულად გასაოცარიამ. იუნიაკვის და მის მოაზრეთა მსჯელობა. რაც მართლა საქართველოში ყოველად მოუხერხებელია ასრულებს, მ. იუნიაკვი და მისი თანამოაზრენი თხოვილობენ, რომ უთუოდ ასრულდეს, რადკან საქართველოშიაც ყველაფერი ისე უნდა სრულდებოდეს, როგორც რუსეთშიო. იმის შესახებ კი, რისიც ასრულება ჩვენშიაც ადგილი მოსახერხებელია, ამბობდნენ არ შეიძლებაო, აქ საქართველოა და არა რუსეთიო. რატომ არ შეიძლება იმ წეს-წყობილებას დავადგეთ სანთლის წარმოების და მომზადების საქმეში, რაც რუსეთში მიღებული? ცუცხელი ერთნაირად ენთება ქვაბებს სანთლის ქარხნებში, პატრიუქი ერთნაირად მზადდება, სანთელი ერთნაირად ისხმის, ყვითელი სანთელი ერთნაირად თეთრდება, ფასი ერთნაირად ეღება, ერთნაირად იყიდება და ერთნაირად იწვის. რაში ხელავს მ. იუნიაკვი განსხვავებას?

მართალია, ჩვენში ისეთი წესები იყო სანთლის ექსპორტის წარმოების შესახებ, სანამ აქ მობრძანდებოდა მთავარ-ეპისკოპოსი იოანე ექვსარხოსად, რომ რუსეთში ევროსად ნახავდით, ჩვენს საქართველოში სანთლის ექსპორტის გამგე იყო საქართველო-იმერეთის წინოდის კანტორის პროკურორი, რომელიც თითო მანეთზედ თავის სასარგებლოდ იღებდა ათ კაპეიკს, ამისთანა წესები, რასაკვირველია, რუსეთში არ შეიძლება. ეს შეიძლება მარტო საქართველოში, მაგრამ განა კანონიერი და სასარგებლოა ამისთანა საქციელი?

დკ. **ჟონიჭვა.** ზოგიერთ ქარხნებში ისე ამზადებენ სანთლებს, რომ თუ მაგრათ გამოსწიეთ პატროქს, სულ გამოძვრება.

დკ. **და—შე.** და რა საქორებისათვის სწევ პატროქს ძალით? მლოცველები სანთელს რომ იყიდონ, პატროქს კი არ დაუწყებენ წევას, აიღებენ და ხატს დაუნთბენ შანდალზე. ესთქვათ, რომელიმე ქარხანაში მოამზადეს ამისთანა სანთელი, ეს რას გეიშლის, რომ რუსეთის სანთლის ქარხნების წესებით და ინსტრუქციებით ვისარგებლოთ, რადგან ამოდენი ხანი ჩვენში ამგვარი წესები ვერ შეგვიმოშავებია?...

საეკლესიო სანთლის საქმის შესახებ კითხვა საღამოსათვის გარდაიღვა. საღამოს შვიდ საათზედ დებუტატები შეიკრიბნენ. ამ კრებაზე მ. იუნიცკი მოითხოვა კლასის დაფა, რომ ცხადთ დემტკიცებია კრებისათვის სანთლის ქარხნის სამწუხარო მდგომარეობა ძველი გამგებობის ხელში. გავიდა დაფაზედ და ყოველივეს, რასაც კი ამბობდა, ციფრებით სწერდა და კრებას, თითქმის, დაუმტკიცა, რომ სანთლის წარმოების საქმე ცუდად მიდისო. შემდეგ გავიდა სანთლის გამგე, ქალაქის ეკლესიების ბლაღოჩინი შოშიევი და კრებას დაუმტკიცა დაფაზედვე ციფრებით, რომ იუნიცკი სტემა და განგებ ამცირებს ჩვენს მოქმედებასო. მართლაც მ. შოშიევმა ციფრებითვე დაუმტკიცა კრებას, რომ მის დროს სანთლის წარმოების საქმე კარგად მიდიოდა და დღესაც კარგ მდგომარეობაშიაო. შემდეგ მიუბრუნდა დკ. იუნიცკის და პასუხი მოსთხოვა მის უმართლო ანგარიშზედ, მაგრამ დკ. იუნიცკი ყველასაგან შეუნიშნავად გავიდა გარეთ და შინ წასულიყო. სწორეთ გასაოცარი იყო, რომ კრებამ საქმის გამოუკითხავად დასცვა სანთლის ძველი გამგენი და ახლები დააყენა კარგი ჯამბვირებით და ბოლოს მსჯელობა იყო ძველ გამგეთა მოქმედებასა და სანთლის საქმის მდგომარეობის შესახებ.

მკითხველო, მართალია, თავი მოგაწყონეთ ახისთანა გრძელი საუბრით კრების შესახებ, მაგრამ რა გავწყობა. კადვე ბევრი რამ გერჩება შემდეგ წლისათვის ამ კრების მსჯელობაზე საოქმელო. თუ საქმეს ჩააცირდებით, მრავალ საყურადღებო და საინტერესო სატყვეებს და მსჯელობას წაიკითხავთ. სამღვდლოების კრებების წყალობით შევიძლიათ შეადგინოთ ჩვენს საქართველოს სამღვდლოებაზედ მართალი მსჯელობა, შეიტყოთ მისი გამჭრიახობა და მოქმედება. ამასათვის ბევრს საინტერესოს წაიკითხავთ შემდეგშიაც, თუ მომავალს წელს ერთმანეთს არ დაგვაშორა იმ წყეულმა გონების სილატაკემ და ტენის დადუმებამ.... მაშ მშვედობით, მკითხველო, ახალ წლამდე...

მ წ ა რ ე ფ ი ქ რ ე ბ ი
სოფლის მღვდლისა.

თავდება ძველი ჩყვ. წელიწადი. ბარემ ამ ძველ წელიწადს თან გაჰყვეს ძველი წლის ჩვენი მწარე ფიქრებიც.

მანცა და მანც დიდი რამ სარგებლობა არ მოუტანია აქ ძველ წელიწადს ჩვენთვის.

ბანკებმა ბევრი ფულები გაასესხეს თავად-აზნაურობაზე და მესაკუთრე პირებზედ. ბანკების კარგის შემოსავლით ამტკიცებენ ჩვენი თავად-აზნაურობის კეთილდღეობას!.. რა გავწყობა, ასე შეიცვალა ჩვენში მართლ-მსჯელობა!..

აუარებელი მამულები გაცვალა ხელიდამ თავად-აზნაურობას ამ წელში და გლახებმა შეიძინეს. ამბობენ, ეს არაფერიაო, ისე ჩვენი ქვეყნის გლახები ყილღღობენო. მართალია, ისე ჩვენები ყიღღობენ, მაგრამ ჩვენი გლახები იმ გავლენას ვერასოდეს ვერ იქონიებენ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ და სასახელოდ, რა გავლენაც ჩვენ თავად-აზნაურობას ჰქონდა და დღესაც აქვს ცოტა კიდევ...

* *

ჩუქმ წელმა იმერეთის ზოგიერთი მცხოვრებნი ძლიერ დაამშია და ხალხმა არ იცას, როგორ გამოიკვებოს თავი. ამ წელს რუსეთის ხალხს ბელმა გაუღიმა,

იქ მშენებრი მოსაყალი იყო წელს. მე წელს ენახე მათი ყანები და იმდენი ჰური მოსელოდათ, რომ შენახავაც ვერ მოესწროთ. ჩვენმა საწყალმა გლეხებმა 1891 და 1892 წელს თაენილარიზი სასიმიდეებდამ და ჯიბილამ შემწეობა მიაწოდეს რუსეთის მხარეზე დამშეულ ხალხს. აბა ენახათ, ისინი რას მოაწოდებენ ჩვენს დამშეულ ხალხს... დარწმუნებული ვართ, რომ რუსეთის ხალხი ვალდებული არ დარჩება ჩვენ ხალხს, მაგრამ ვინ არის მთქმელი, რომ ზოგ მაზრაში მრავალი გლეხი ულუკმა-პუროდ არის დარჩენილი?.. მართალია, ხალხს გამოუცხადეს, რომ ფულებს გასესხებთო, მაგრამ ბოროტი პირები აშინებენ მღაბო ხალხს, ფულები არ ისესხათ, თორემ ერთი-ორად გადაგახდევინებნო. ამას, რასაკვირველია, ისინი ამბობენ, რომელნიც სიმიდის ეაჭრობით გამდიდრებას ელიან!..

* *

ჩამოდევით, ძველო სამღვდლოებაე, თქვენი წირვა ეხლანდელ დროში არ გამოდგება. თქვენ რუსული არ იცით და ვინაც რუსული არ იცის, იმის წირვას დღეს აღარ აქვს ის მნიშვნელობა, რაც დღემდის ჰქონებია. ოთხმოცი ათასი მწველებელი გადმოსახლებულა რუსეთიდან საქართველოში, უკაცროავათ, საქართველოში კი არა, ამიერ კავკასიის მხარეში, ასე ამბობენ ზოგიერთი განათლებულნი.... ნეტავი ვინ და რა არის მიზეზი ამოდენა ხალხის მწველებლებად გარდაქცევისა? ღმერთმანი ეს ოთხმოცი ათასი კაცი რომ გაქართველდეს, არ მჯერა, რომ იგინი მართლ-მადიდებელ აღმსარებლებად არ შეიქმნენ!....

* *

სწორეთ გასაოცარი მსჯელობაა. ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ უსწავლელი მღვდლების წყალობით ხალხი ეკლესიებში აღარ დაიარებაო. საქმით კი სულ სხვა სჩანს. მიყრუებულ სოფლებში, სადაც ზოგიერთმა მღვდელმა სულ ცოტა იცის და ისიც მართო ქართული წერა-კითხვა, კვირა-უქმ დღეებში, თუ აღრე არ მიხვედი ეკლესიაზე, მერე ველარც კი შეხვალ ტაძარში ბევრი მლოცველებისა გამო. იქ კი, სადაც მღვდლები მშენებრიად სწერენ და დიდი ნასწავლებიც არიან, ძლიერ ცოტა მლოცველი დაიარება ეკლესიაში... რისი ბრალია ეს?... სამოცდა

ათი წლის წინათ ეკლესიებში წირვა-ლოცვაზე მლოცველების ტყვა აღარ იყო. მაშინდელი მღვდლები, რომ მოგეხსენებათ, ძლიერ მკიერ ნასწავლნი იყვნენ. ანაფორის დიდზე თეთრ ჯვრებ ჩამოკიდებულებს ხომ სულ ვერ ნახავდით მაშინ. ეხლა, მადლობა ღმერთს, ყველგან შეხვდებით ამისთანა ჯვრებიანს. მაგრამ როდეს უფრო ბევრი მლოცველები დადიოდა ეკლესიაში, დღეს, თუ წინეთ? რასაკვირველია, წინეთ. რისი და ვისი ბრალია ეს? ყველაფერი დროის ბრალია! დიან, დროის ბრალია!

* *

ძველ ხელნაწერებში ეკითხულობთ: «კრება იყო, ამ კრებაზე უნდა აერჩიათ ერთი პირი ეპისკოპოსად და სამი — მღვდლად. შემდეგ სხვა და სხვა მოფაქრებისა და მსჯელობისა, დაასახელეს საეპისკოპოსოდ ერთი პირი (სახელი) და სამღვდლოდ — სამი პირი (სახელებია). გამოუცხადეს თუ არა კრების გარდაწყვეტილება აღრჩეულ კაცებს, ისინი შესწუხდენ, ბოლოს გასწიეს და დაიშალენ. დიდის ძებნა შემდეგ ეს პირნი მონახეს და მოსთხოვეს მათ პასუხი, თუ რატომ დაიშალენ ისინი და რატომ უარჰყვეს თანამდებობის მიღება? იმათ გაიმართლეს თავი იმით, რომ იგინი ღირსად არ რაცხვენ თავის თავს იმისთანა დიდი მოვალეობისათვის, რომელზედაც კრება ირჩევს მათ; მათ ეშინიათ ღვთისა, რომელსაც პასუხი უნდა მისცენ თავიანთ სულიერ შეღწე. ამ შიშისა გამო ისინი ვერ თანხმდებიან იქსრონ ეს დიდი მოვალეობა და სხე... ბევრი ჩაგონების შემდეგ ძლიერ და თანხმდენ ეს პირნი, მაგრამ ორი ამ არჩეულთაგანნი სადაც გადიხვენ და ველარ მიავნეს».

დახე, რა ახირებული და უსწავლელი ხალხი ყოფილა ძველ დროში! კაცს თანამდებობაზე ირჩევენ, მას არც თხოვნა სჭირდებოდა, არც მარკა, არც სეკნატრას თხოვნა, არც მისი მამამხატვისა, არც შეწარულება და არც არაფერი სხვა, და კიდევ უარს ამბობდენ! სწორეთ უნდა გითხრათ, ახირებული ხალხი ყოფილა წინეთ! ეპისკოპოსობას და მღვდლობის ხარისხს აძლევდნ კაცებს და იგინი კი უარს ამბობდენ.. მძიმე მოვალეობაა, არ შეგვიძლია ამ მოვალეობის მიღება და ითხოვდენ განთავისუფლებას. დღეს რას ენებდეთ? დღეს, ბატონო, დიდი განათლება შემოვიდა. უარს კი არა, პირიქით თხოვნით აწუხებენ, ათას

კაცს უგზავნიან შუამავლათ სეკლატრებსაც და მის პოპოზიციებსაც, და შეწირულებასედაც მზად არიან, როგორ დაწინაურდნენ სადმე იგინი, სადმე თანამდებობა მიხსენ. ან კი რა ჰქნან, საწყლებმა, ამბობენ ზოგიერთები, ფულები დაუხარჯავსთ სწავლის მიღებისათვის, ცოლშვილს მოჰკიდებინ, ბავშვები გამოსაზრდელი ეყოლებათ, ქალები გასამხილებელი და, თუ კარგი შემოსავლიანი ადგილი არ ექნათ, როგორ იცხოვრონ, როგორ არჩინონ ცოლ-შვილი? ან რა დასაძარახისია, რომ შეწირულებაც გამოიღონ. დახარჯვენ, მაგრამ აღნადგენით ამოიგებენ...

თუ კარგად ჩაეკვირდებით, არც ის არის მინც და მინც დიდი გასაკვირველი, რომ წინეთ უარს ამბობდნენ თანამდებობის მიღებაზე და დღეს არა... სად ძველი დროის მოსამსახურეთა ცხოვრება და ჯამაგირი, და სად ეხლანდელი დროისა! ძველ დროში ეპისკოპოსებს არც კი მოგზმანებოდათ იმისთანა სასახლეები, როგორებსაც დღეს ვხედავთ. ეხლა თუ კარგით და ორი-სამი რწყვილ-რწყვილად შეზღუდული ცნენებით არა, ისე როგორ შეიძლება მათი მოგზაურობა? წინეთ კი ერთი ჯორიც საქმაო იყო და საქართველოში ზოგიერთ ადგილს ეხლაც არის. ჯამაგირებს რაიცა შეეხება, ძველ დროში სად იყო ჯამაგირები! დღიურად გამოდიოდნენ. დღეს კი დროების მოთხოვნილებისამებრ დიდი ჯამაგირებია დაწინაურებული სხვა შემოსავალს გარდა.

ეპისკოპოსებს წინეთ მინც უჯავთეპყრობოდნენ. აიღეთ, მაგალითებ, იოანე ოქროპირი, ეს შესანიშნავი მღვდელ-მთავარი და საკვირველი მკვლავი, რა პატივისცემით ეპყრობოდნენ მას? ნაცვლად იმისა, რომ პატივი ეცათ და დაეჯილდობინათ, დაატუსადეს კადეც. როდესაც დაჭერილი მიჰყავდათ მაშინდელ ციმბირში, აფხაზეთისკენ, მოგზაურობის დროს არ დასვენეს და გზაში გარდაიცვალა. და რისთვის შეგმთხვა ეს მას? მისთვის, რომ სიმართლემ აიძულა მხილება ბოროტ განზრახულებისა. ღვთის შიშისა და სიმართლის სიყვარულობისა გამო მან სიმართლე აღიარა, და ჰუმბარიტება არ დაფარა. არ მოერიდა იმისთანა კაცის მხილებას, რომელსაც შეეძლო მისი დასჯა და დაპატიმრება. დღეს სულ სხვა დროა. ეხლანდელ დროში სულ ცოტა რამე რომ აწყენინონ ვისმეს, მეორედ მოსვლის ნიშნად ჩაითვლება და სულ ეს ცოტა რამე წყენინება შეიქნება სალაპარაკოდ ხალხში, როგორ მოხდა ეს? რო-

გორ გაბედეს და სხ. დიახ, დიდი განსხვავება არის ძველს და ახალს დროში სამსახურსა, ხასიათსა, მიმართულებასა და ზნე-ჩვეულებათა შორის... როდეს სჯობდა ნეტაეი?

* * *

ნეტაეი როდის ელირსება ყველა სამღვდელეობას ერთნაირად საეკლესიო საბუთების წარმოება და ერთნაირი წესები? ჩვენ ვგონებთ, რომ არასოდეს. რატომ, რა მიზეზისა გამო? მიტომ, რომ მუდამ ერთ კაცს არ შეუძლია მდივნობა; ხან ერთია მდივნად და ხან მეორე. ყველას თავისი აზრი, თავისი შეხედულება და თავისი ინტერესი აქვს. ერთს ასე მოსწონს, მეორეს ისე და მესამეს სულ სხვანაირად. მაგალ., ერთ სეკრეტარს უნდა, რომ კლიროვის უწყებაში მღვდელს ეწერებოდეს საბრიყვო ვარდასახად ფულით და სხვა და სხვა შენიშვნები მთავრობისა მისი წინააღმდეგი საქციელისათვის, მისთვის რომ ყოველ შემთხვევაში იცოდეს მთავრობამ, თუ რა შემთხვევია სასულიერო მოსამსახურე პირს მსახურების დროს. ამხადებენ ამისთანა მიწერილობას მთელს ეპარქიის სამღვდელოების სახელმძღვანელოდ. ეს საბუთებიც ასე დგება. დადგა, ესთქვათ, სხვა პირი მდივნად. იმას არა სურს, რომ მის ნაცვლად, ან ნათესავ მღვდელს ეწერებოდეს კლიროვში სხვა და სხვა შენიშვნები და საბრიყვო ვარდასახადები. იგზავნება სრულებით წინააღმდეგი მიწერილობა მთელს სამღვდელოებისადმი, რომ კლიროვის უწყებაში არ ეწერებოდეს არავის იმისთანა შენიშვნები, შტრაფები და დასჯა, რომელთა ჩაწერა ნამსახურებითი სიაში არ არის ნათქვამიო. როდეს იქცეოდნენ კანონიერად? რუ თუ საიდუმლო იყო და არის ის კანონები და ის წესები, რომელნიც არსებობენ კლიროვის უწყების შესახებ? არა, ყველასთვის ცხადი იყო და არის ეს კანონები და წესები, მაგრამ დღეს ყველაფერი დამოკიდებულია სურვილზე.

კარგა ხანია, უმაღლესად დამტკიცებულია წესები, თუ როგორ უნდა ადგენდნენ საეკლესიო საბუთებს; მაგრამ ამ უკანასკნელ დროს ამ საბუთების წარმოების წესებიც შეშალეს და მათი სხვანაირად წარმოება ბრძანეს. ეს სხვანაირი წარმოება საბუთებისა, წინააღმდეგ უმაღლესად დამტკიცებულ კანონებისა, ისე ნაირათ წევწავს საქმეს, რომ ათეოკი წლის შემდეგ მრავალს ენახავთ მეტრიკებში მარტო ახლად დაბადებულ ბავშვთა რიცხვს, მაგრამ მოუწინააღმდეგებ...

ერთ დროს ცირკულიარული მიწერილობით ბლალ-
ჩინებს ვალად უდგენდნენ, რომ საეალო უწყებანი
და ანგარიშები ყოველ წლის ოქტომბრის თთვის 25
რიცხვამდე უთუოდ წარმოედგინათ. როდესაც ზო-
გიერთებმა განაცხადეს უკანონობა და შეუძლებლობა
ამ მოთხოვნების აღსრულებისა, იგინი წინააღმ-
დეგად და სეკრეტრების მტრად ჩარიცხეს. გამოიც-
ვალა ერთი სეკრატარი და დადგა მეორე. ამ მეორემ
იანვრის თთვის პირველ რიცხვებში მოითხოვა ამის-
თანა ცნობების და ანგარიშების წარდგენა და სრუ-
ლიად კანონიერადაც ჩვენ არ გვეჯერა, რომ ამ
სეკრატარისაგან შემოღებული კანონიერი წესწყობი-
ლება საეალო უწყებათა წარდგენის შესახებ შემდეგმა
სეკრატრმა არ შეშალოს და ნოემბრის ან დე-
კემბრის თთვეში არ მოითხოვოს! დიახ, ასე სამწუ-
ხარო მდგომარეობაშია ზოგიერთი ეპარქიის სამლე-
დლოების საქმეები. არ იქმნა, ვერ გამოიგონეს და
ვერ შეძლოდეს ერთნაირი წესწყობილება და ერთ
გვარი კანონები სეკრატრებისათვის, რომ ყველანი
სამუდამოდ ერთგვარათ ხელმძღვანელობდნენ ამ კა-
ნონებით და თავის ნებით არავის არ შეეძლოს ამ
კანონების გაზრა. ნუ თუ ჰგონიათ, რომ ასეთი
კანონები არ არსებობენ? დიდი ხანია, არსებობენ და
დაბეჭდვლილნი არიან, მაგრამ უბედურება ის არის,
რომ ამ კანონებს ყოველის მხრით აქვსთ გვერდის
ასავლედი გზები. იმედი არ უნდა დავკარგოთ, იქნება
ღმერთმა ინებოს და სამლედელოებას მიენიჭოს საეკ-
კლესიო საბუთების ერთგვარათ წარმოება და სხვა
მათ მოქმედების შესახებაც ერთგვარი წესწყობილების
შემოღება.

ხოსად იყოფებოდა 14 წლამდე და ამ დროის
განმავლობაში მათმა მეუფებამ შეიყვარა საქართველო
და საქართველომაც ჯეროვანად შეიყვარა თავისი
მწყემსთ-მთავარი და იგი ღირსე იყო ამ სიყვარუ-
ლისა. საქართველოში მათმა მეუფებამ ცხადათ გამო-
იჩინა თავისი აღმინისტრაციული, მწყემსთ-მთავრული
და კაცობრიული თვისებანი. მათმა მეუფებამ საქარ-
თველოშივე მსახურების დროს მიიღო რუსეთის ეკ-
კლესიის უმაღლესი ხარისხი—მიტროპოლიტობა.
აქაურს გაზეთებში არაფერი არ ყოფილა დაბეჭდილი
მათი მეუფების შოღვაწეობის შესახებ საქართველოს
ექსარხოხად მყოფობის დროს, მართალია, გაზეთის
«კავკასის» პატრეცემელმა რედაქციამ მთხოვა მე
დამეწერა რამე მიტროპოლიტ ისიდორეს, მაგრამ
მე ეს თხოვნა ვერ შევასრულე, რადგან თავისუფალი
დრო არა მქონდა; აქაურს სასულიერო ორგანს
«საქართველოს საექსარხოხოსის სას. მახარებელში»,
№ 18, 1892 წ. ვაღპოვეჭდილი იყო ზოგიერთი
ცნობები მიტროპოლიტ ისიდორეს პეტერბურგის
დრო-გამოშვებით გაზეთებიდან; მაგრამ პეტერბურ-
გის გაზეთებში ზოგიერთი ცნობები შეცდომით იყო
დაბეჭდილი მიტროპოლიტის ისიდორეს შესახებ. ამ
გაზეთებში, სხვათა შორის, ნათქვამია, ვითომ, ექ-
სარხოხს ისიდორეს არა ჰქონდა არც კანცელარია
საექსარხოხოსის საქმეების საწარმოებლად და არც
სასულიერო სამმართველო (იხილვ «Христ. учен.»
1892 წ. ნოემბრის და დეკემბრის თთვეებისა, გვერ.
511). ეს ცნობა მოკლებულია ქეშპარიტებას. პი-
რიქით ისიდორეს და მის წინამოადგილეებსაც კან-
ცელარიები და კანცელიის მოსამახსურე პირნი უფრო
ბევრა ჰყავდა, ვინემ სხვა მლედელ-მთავრებს რუსეთის
შინაგან გუბერნიებში. მის ძალად ყოველად უსამლე-
დელოესობას, ექსარხოხს ისიდორეს ჰქონდა ორი
კანცელარია—ერთი, ვგრედ წოდებული, ექსარხოხის
კანცელარია, რომელსაც განაგებდა მმართველი ორი
თავისი თანაშემწით და სხვა მოსამსახურეებით, ოსე-
თის სასულიერო კამისაის კანცელარია თავისი
მდიენათ და სხვა მოსამსახურეებით; საქართველო-
იმერეთის სინოდის კანტორა თავისი წევრებით და
პროკურორით და ამავე კანტორასთან იყო ერთი
კანცელარია, რომლის ერთი განყოფილება განაგებდა
ქართლ-კახეთის ეპარქიის საქმეებს და მეორე—იმე-
რეთის ეპარქიისას, მასში იყო ორი მდიენი, სტოლის
უფროსები და სხვა მოსამსახურენი. ამის შემდეგ

დაკვიანებული მოკონება მისი ძადალ ეოფ-
ლად უსამდედელოესობის მიტროპოლიტის
ისიდორეს მოღვაწეობის შესახებ, როცა მათი
მეუფება საქართველოს ექსარხოხსად იყო.

ამა წლის 7 ენკენისთვეს შესრულდა ერთი წე-
ლიწადი ნეტარ ხსენებული ძალად ყოველად უსამლე-
დელოესობის მიტროპოლიტის ისიდორეს გარდაცვა-
ლების დღიდგან; მათი მეუფება საქართველოს ექსარ-

ძლიერ გასაკვირია, სთქვას კაცმა, რომ საქართველოს ექსარხოზად მყოფობის დროს მიტროპოლიტს ისი-
ლორეს არა ჰქონდა არც კანცელარია, არც სასულ-
სამმართველო და არც მოსამსახურე პირნი ჰყავდათ.
ვერ გავგვიგია, თუ საიდან შეკრიბა ამ წერილების
ავტორმა ასეთი შემძლარი ცნობები.

მე ვსწავლობდი და ემსახურებდი მის მალალ,
ყოვლად უსამღვდელოეს ექსარხოზ ისიდორესთან;
ეცნობდი მას 1845 წ., სანამ მას გადაიყვანდნენ
კიევის კათედრაზე 1858 წ. და კარგად მახსოვს ზო-
გიერთი მისი სასარგებლო მოღვაწეობა სასარგებლოდ
ეკკლესიისა და სახელმწიფოსათვის; ამიტომ მსურს
ამ შესანიშნავი მწყემს-მთავრის შესახებ ზოგიერთი
ცნობები, რომელიც მე დღეს ხელთა მაქვს, განუ-
ზიარო მათი მეუფების პატივისცემვით.

1844 წელში, დეკემბრის თვეში, თბილისში
შიილეს უქაზი, რომლის ძალით საქართველოს ექსარ-
ხოზი, მთავარ-ეპისკოპოსი ევგენი გადაყვანილ იქმნა
ასტრახანში და მის ადგილზე დანიშნულ იქმნა მო-
გილევის არქიეპისკოპოსი ისიდორე, ორივე ამ ამბავმა
ყველანი გააოცა: ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ
საქართველოს ექსარხოზი ასე მცირე ადგილზე გადა-
ეყვანოს, როგორც მაშინ ამბობდნენ. მისი წინა-
მოადგილენი—მიტროპოლიტი თეოფილაქტე და მთა-
ვარ-ეპისკოპოსი მოსე გარდაიცვალენ საქართველო-
შივე, ხოლო იონა გარდაყვანილ იქმნა მიტროპო-
ლიტის ხარისხით პეტერბურგში. თბილისში ბევრნი
იცნობდნენ მის მალალ ყოვლად უსამღვდელოესობას
ისიდორეს, რომელსაც უშაღლესი სწავლა ჰქონდა
დამთავრებულ პეტერბურგში და მსახურებდა რამ-
დენიმე წელიწადი ბრძენ და გამოცდილ მწყემსთ-
მთავრების ხელმძღვანელობის ქვეშე, განსაკუთრებით
მოსკოვის შესანიშნავი მიტროპოლიტის ფილარეტის
გამგებობის ქვეშე. მათ მეუფებას იცნობდა აგრეთვე
მთავარ-ეპისკოპოსი ევგენი. ამიტომ თბილისში მათი
მეუფების მოსვლამდე გავრცელდა ხმა, რომ იგი
ძლიერ განათლებული და ფრცხი მწყემსთ-მთავარიო.
მთავარ-ეპისკოპოსი ევგენი მათი მეუფების ისიდორეს
მოსვლამდე გავიდა თბილისიდან და აღარ მოუტლია
ისიდორეს მოსვლისათვის, ეტუობოდა, რომ ევგენი
ძლიერ შეწუხებული იყო თავისი გადაყვანის გამო—
მათი მეუფებაც და სხვანიც ფიქრობდნენ, რომ ევ-
გენი აღზად დასაჯეს, რომ ასე მცირე ადგილზე
გადაიყვანესო.

ახალი ექსარხოზი საქართველოსი ისიდორე
მოვიდა თბილისში 17 იანვარს 1845 წ., ნაშუად-
ღვეს სამ სათზე და პირდაპირ სიონის ტაძარში
შებრძანდა. აქ შეკრებილნი იყვნენ, სხვათა შორის,
